ა ნ გ ა რ ი შ ი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2015 წლის 15 აპრილიდან 15 მაისამდე გაწეული მუშაობის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2015 წლის 15 აპრილიდან 15 მაისამდე ჩატარებული იქნა კომისიის 2 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა 4 საკითხი:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზაზა გობრონიძის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია კოალიცია ქართული ოცნება - ეროვნული ფორუმი“-ს გაუქმების თაობაზე.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ადგილმონაცვლედ საკრებულოს წევრობის კანდიდატის, ბიძინა ლომჯარიას სადეპუტატო უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნა „გენდერი ჩვენი ოზურგეთისათვის“ დარეგისტრირების თაობაზე.

აღნიშნული 4 საკითხიდან სამზე მომზადებული იქნა დადებითი, ხოლო ერთ საკითხზე უარყოფითი დასკვნა. გარდა აღნიშნულისა „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების სამთავრობო კომისია“-ს (თავმჯდომარე: თ. შერგელაშვილი) გაეგზავნა მიმართვა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „დაბა ურეკში ე.წ პოლიციის ზოლში მდებარე უსახელო ქუჩისათვის ნიკოლოზ ქარცივაძის სახელის მინიჭების თაობაზე“.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას საჯარო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ მომზადებულია დასკვნა, რომელიც განიხილება კომისიის უახლოეს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე: **ე. გორდელაძე**

14.05.2015